



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 13

„27“ თებერვალი 2015 წ.

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 ნოემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 ნოემბრის №53 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/11/2014, 010250050.35.163.016234) და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მუხლი 3. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღება

1. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა მიიღება საჯარო ან/და ელექტრონული აუქციონის წესით, რომლის ორგანიზებას ახორციელებს აუქციონატორი.

2. აუქციონის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება „თვითმმართველი თემის -თელავის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №4 დადგენილებით.

3. საჯარო ან/და ელექტრონული აუქციონის ჩატარებისას გარე რეკლამის ნებართვის მისაღებად გამოსაქვეყნებელი პირობები უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) ნებართვის გამცემის დასახელებას;
- ბ) პირობებს და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს (აუქციონის პირობებით გამოცხადების შემთხვევაში);
- გ) ნებართვის გასაცემი ადგილის დასახელებას;
- დ) „ბეს“ ოდენობას, რომელიც არის თითოეულ ლოტზე საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით;
- ე) ბიჯის სიდიდეს თითოეულ ლოტზე საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით;
- ვ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც ნებართვის გამცემი ჩათვლის მიზანშეწონილად.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე *შოთა მძი* პაატა გიორგობიანი

